სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05503238356417

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170449034

რეგისტრაციის თარიღი

28.04.2017 წ

ნოტარიუსი: ირმა ბერიძე
მისამართი: თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6
ტელეფონი: 2905754

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, სანოტარო აქტი

ორიათასჩვიდმეტი წლის ოცდარვა აპრილს მე, ირმა ბერიძეს ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი 7, კორპუსი 4-6, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **ნუნუ გაბუნია**. ვინაიდან ქალბატონი **ნუნუ გაბუნია** ვერ ფლობს სახელმწიფო, ქართულ ენას სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდა დიპლომირებული თარჯიმანი **მარინა გამეზარდაშვილი** (დაბ. 04.07.1973წ. თბილისი, მისამართი თბილისი, გლდანი I მ/რ, კორპუსი 16, ბინა 95, პირადი №01001032849), თანახმად ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მიერ მარინა გამეზარდაშვილის სახელზე გაცემული დიპლომისა ნა №012299 გაც. 2003წ. სარეგისტრაციო №374. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს რუსულ ენას და იძლევა სწორი თარგმნის გარანტიას. თარჯიმანი მე, ნოტარიუსმა ირმა ბერიძემ გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია, რის დასტურადაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე სანოტარო აქტს. მხარე და თარჯიმანი ნოტარიუსის მიერ გაფრთხილებულნი არიან თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ და ადასტურებენ, რომ არ არსებობს აღნიშნული გარემოებები. **ნუნუ გაბუნიამ** განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება ინგლისში, ქ. ლონდონი და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს განცხადება და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა მის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი და ვადასტურებ, რომ მე ნამდვილად **ნუნუ გაბუნიამ (დაბ. 26.09.1985წ. თბილისი, პირადი №01701133076 ბარათის №15IA05720 გაცემული 21.12.2015წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მოქმედების ვადა 21.12.2025წლამდე, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №26ა, ბინა 4, საქართველოს მოქალაქის პასპორტი №15AB85203 გაც. 23.12.2015წ. მოქმედების ვადა 23.12.2025წლამდე)** მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **სალომე ხაბურზანია** (დაბ. 24.09.1995წ. ზუგდიდი, საქართველოს მოქალაქის პასპორტი №11BB47629 გაც. 22.12.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, პირადი №19001105694 გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი თბილისი თემქა XI მ/რ, II კვ. კორპუსი 20) როგორც განმცხადებლის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **გვანცა იმნაძე** (დაბ. 26.07.1989წ. თბილისი, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი დიღმის მასივი I კვ. კორპუსი 10, ბინა 51, პირადი №01005017378), როგორც მოწმე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეების ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც **ნუნუ გაბუნიამ** თარჯიმნის, ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის განცხადება, რომლის ზეპირი და წერილობითი თარგმანი შეასრულა თარჯიმანმა. ნუნუ გაბუნია და მის მიერ მოწვეული, სანოტარო ბიუროში გამოცხადებული მოწმე ნოტარიუსის მიერ გაფრთხილებულნი არიან მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ და ადასტურებენ, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები. აღნიშნული პირები ნოტარიუსის მიერ ინფორმირებულნი არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების თაობაზე. კერძოდ, მათ განემარტად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 348[1] და 372 მუხლების შინაარსი და შესაბამისი სანქციების მოცემულობანი.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, **ნუნუ გაბუნია** თანახმა ვარ ჩემი კუთვნილი მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.18.011.057) გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.18.011.020 მესაკუთრემ შპს "ახალი გზა" (ს/კ 405033351) დაარღვიოს სამეზობლო მიჯნის მოთხოვნები და განახორციელოს ნებისმიერი სახის მშენებლობა, მათ შორის ჩემს მხარეს მოაწყოს ფანჯრები/ღიობები.

შედგენილია ოთხ ეგზემპლარად. წინამდებარე თანხმობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ირმა ბერიძემ, რომელიც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში თარჯიმნის მონაწილეობით წავუკითხე განმცხადებელს. მან დამიდასტურა, რომ თანხმობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ თანხმობის განცხადებისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად თანხმობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **სალომე ხაბურზანიას**. თარჯიმანი, მოწმე და განმცხადებლების ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) სანოტარო მოქმედების შერულებას ესწრებოდნენ სანოტარო მოქმედების

დაწყებიდან დასრულებამდე. სანოტარო მოქმედების მონაწილეებმა – ხელმომწერმა პირმა და მოწმემ განაცხადეს და დაადასტურეს, რომ პიროვნება რომელთანაც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მოხდა ვიზუალური კონტაქტის დამყარება არის ნუნუ გაბუნია.

გადახდილია საზღაური: 50.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 32-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

განმცხადებლის ნაცვლად მისივე თხოვნით
ხელს აწერს

მოწმე ---

თარჯიმანი ---

ნოტარიუსი ირმა ბერიძე

